ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3

2017 წლის 6 იანვარი

ქ. გორი

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 02 აგვისტოს № 9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 02 აგვისტოს №9 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 08/08/2014; 010250050.35.174.016009) დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. მერს აქვს მუნიციპალიტეტის მერის ბეჭედი, რომელიც დაიტანება სამართლებრივ აქტებზე, სამივლინებო დავალებებზე (სამივლინებო ფურცლებზე), საფინანსო დოკუმენტაციაზე, ოქმებსა და მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ გარიგებებზე (ხელშეკრულებებზე)“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ზურაბ როსებაშვილი**